

შპს „ზღაპარი“ ს/ნ 406120870

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	5-6
ფულადი სახსრების მოძრაობა	7
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ფუნქციონირებადი საწარმო	8
3. მომზადების საფუძვლები	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე	8-11
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	11-12
6. ამონაგები მომსახურებიდან	12
7. საპროცენტო შემოსავლები	12
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	13
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
12. რისკების მართვა	15-16
13. სხვა(მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).	16
14. გაუთვალისწინებელი გარემოებები	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	16
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4219	31908	165502
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	237076	131572	789512
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	107659	0	0
მარაგები	0	18702	301726
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	18702	301726
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	150788	150788	150788
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	10571	12436	14631
ძირითადი საშუალებები	10454132	9835297	6516440
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	811842	811842	811842
სულ აქტივები	11776287	10992545	8750441
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	769278	833604	739682
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	26385	2106
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1281305	1280626	1431082
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2558273	3608390	2472727
მიღებული გრანტები	32408	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	4641264	5749005	4645597
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2430000	2430000	2430000

საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4705023	2813540	1674844
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	7135023	5243540	4104844
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11776287	10992545	8750441
სულ მოკლევადიანი აქტივები	348955	182182	1407528
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	769278	2140615	2172870



დირექტორი

თამარი უდესიანი

მთავარი ბუღალტერი

აზა სუბელიანი



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2038611	3373294
საქონლის გაყიდვიდან	8830	1140967
მომსახურების გაწევიდან	2028926	2225952
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	855	6375
გაყიდვების თვითღირებულება	-11333	-820285
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2027278	2553009
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-33736	-824374
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-563698	-404767
საპროცენტო შემოსავალი	160	5257
საპროცენტო ხარჯი	-143086	-340056
იჯარის ხარჯი	0	-48026
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-326604	-323598
სულ საოპერაციო ხარჯები	-1066964	-1935564
საოპერაციო მოგება	960314	617445
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	921259	544311
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-22497	-23060
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1859076	1138696
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1859076	1138696
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	32407	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	32407	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1891483	1138696
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5243540	4104844
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7135023	5243540

დირექტორი

თამარი უდესიანი

მთავარი ბუღალტერი

აზა სუბელიანი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	935224	2928985
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-690075	-4178013
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-272838	1115434
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-27689	-133594
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	31908	165502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4219	31908

დირექტორი

თამარი უდესიანი

მთავარი ბუღალტერი

აზა სუბელიანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზღაპარი“ ს/ნ 406120870 დაფუძნდა 2014 წლის 16 ივნისს .

შპს „ზღაპარი“-ს საქმიანობის სფეროს დაარსების დღიდან საანგარიშო პერიოდის ჩათვლით წარმოადგენდა : საცალო და საბითუმო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში. მიმდინარე პერიოდში მან შეიცვალა პროფილი და მის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საკუთარი და იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

კომპანიის მესაკუთრეები არიან :

1 შპს „ბაია“ 204379225 – 33,33%;

2 შპს „ზღაპარი“ 206240352- 33,34%;

3, შპს „ზღაპარი“ 206172078 – 33,33%;

კომპანია დაარსების დღიდან ვითარდებოდა და ვითარდება მიმდინარე პერიოდში.

2020 წლის 31 დეკემბერს, 2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 18, 17 და 17, შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილია : საქართველო, თბილისი.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

3. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ღირებულება გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები

ცვეთის განაკვეთები

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

აღჭურვილობა და ავეჯი	3-10 წელი
შენობები	50 წელი

ცვეთადი ღრეზულეზა არის ძირითადი საშუალების ღირეზულეზა, შემცირეზული მისი ნარჩენი ღირეზულეზით. ნარჩენი ღირეზულეზა ფასდეზა იმ თანხის ოდეზობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღეზდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარეზების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურეზის ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირეზულეზა, სასარგებლო მომსახურეზის ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინეზება. ადრინდელი შეფასეზების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხეზა სააღრიცხვო შეფასეზის ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღეზული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრეზა, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღეზულ ამონაგეზსა და აქტივის საბალანსო ღირეზულეზას შორის და მოგეზა-ზარალში აღიარდეზა.

თუ არსეზობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურეზის ვადა, ან ნარჩენი ღირეზულეზა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდეზა პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივეზი

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურეზის ვადის მქონე არამატერიალური აქტივეზი აისახეზა თვითღირეზულეზით, შემცირეზული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურეზის ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდიტ აღიარდეზა მომსახურეზის ვადის განმავლობაში. შეფასეზული მომსახურეზის ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგეზო პერიოდის ბოლოს გადაისინეზება, ხოლო შეფასეზის ცვლილების ნეზისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახეზა. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდეზა მისი გასვლისას, ან როდეზაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღეზა მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობეზი ან ზარალი, რაც განისაზღვრეზა, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგეზსა და აქტივის საბალანსო ღირეზულეზას შორის, მოგეზა-ზარალში აღიარდეზა აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგეზი

მარაგი აღირიცხეზა თვითღირეზულეზასა და ნეტო სარეალიზაციო ღირეზულეზას შორის უმცირესით. თვითღირეზულეზა გამოითეზლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდეზა მაშინ, როდეზაც იჯარის პირობეზი ითვალისწინეზს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრეზასთან დაკავშირეზული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდეზა საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივეზზე უფლებეზი აღიარდეზა, როგორც კომპანიის აქტივეზი, იჯარით აღეზული ქონეზის რეალური ღირეზულეზის ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირეზული ღირეზულეზით), რომელიც განისაზღვრეზა იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდეზულეზა აისახეზა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგეზაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდეზულეზა. საიჯარო გადასახდელები ნაწილდეზა დარიცხულ ფინანსურ ხარეზებსა და საიჯარო ვალდეზულეზის შემცირეზას შორის ისე, რომ წარმოიქმნეზა მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდეზულეზის დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარეზეზი აკლდეზა მოგეზის ან ზარალის შეფასეზას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივეზი ჩაირთვეზა ძირითად საშუალებეზში და მათაც ისევე დაერიცხეზა ცვეთა და ისევე ხდეზა მათი გაუფასურეზის ზარალის შეფასეზა, როგორც საწარმოს საკუთრეზაში არსეზული აქტივეზისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახეზა მოგეზაში, ან ზარალში წრფივი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულება ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

6. ამონაგები მომსახურებიდან

კომპანია საქმიანობს ვაჭრობისა და მომსახურების სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება საქონლის რეალიზაციიდან და გაწეული საიჯარო მომსახურების ღირებულებიდან. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა საქონლის გაყიდვიდან შეადგინა 8830 ლარი. გაწეული მომსახურებიდან 2028926 ლარი.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა საქონლის გაყიდვიდან შეადგინა 1.140.967 ლარი. გაწეული მომსახურებიდან 2.225.952 ლარი.

7. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი 160 ლარი მოიცავდა კომპანიის მომსახურე ბანკებში განთავსებულ ფულადი ნაშთებიდან ხელშეკრულების შესაბამისად მიღებულ საპროცენტო შემოსავალს. საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა 143086 ლარი, რაც მოიცავს სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ გადასახდელ თანხებს.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი 5257 ლარი მოიცავდა კომპანიის მომსახურე ბანკებში განთავსებულ ფულადი ნაშთებიდან ხელშეკრულების შესაბამისად მიღებულ საპროცენტო შემოსავალს. საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა 340056 ლარი, რაც მოიცავს სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ გადასახდელ თანხებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

8, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
საპენსიო დანამატი	1478	9704
სამეურნეო ხარჯი	0	0
კომუნიკაციის ხარჯები	0	0
ბანკის საკომისიო	1383	8021
სარეკლამო ხარჯი	0	0
პროგრამის მომსახურების ხარჯები	0	0
მივლინების ხარჯები	406	85
ელექტროენერგიის ხარჯი	134142	175485
ბუნებრივი აირის ხარჯი	12584	4578
დასუფთავების ხარჯი	5147	3275
სასმელი წყლის ხარჯი	10423	12584
დაცვის მომსახურება	28119	13490
სარემონტო ხარჯები	17623	356
ტექნიკის მომსახურების ხარჯები(სალარო აპარატ,ავტომანქ)	0	0
ქონების გადასახადი	113168	0
ავტომანქანის ხარჯები	0	0
სხვადასხვა ხარჯები(წვრილმანი)საგადასახადო	0	2637
ქონების დაზღვევა	0	81759
მიწის გადასახადი	0	11605
მოგების გადასახადი ინვენტარიზაციის დანაკლისიდან და სხვა საგადასახ.	0	0
სხვადასხვა ხარჯი -ჯარიმები	800	0
ინვენტარიზაციის დანაკლისი	1331	19
ჯამი	326604	323598

9, ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელს კომპანიის იჯარის ხარჯი 48.026 ლარს შეადგენდა. 2022 წლის განმავლობაში საჯარო ხარჯი არ ქონდა.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	შენიშვნა- ნაგებობები	აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა არამატერიალური აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ჯამი
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	6161701.00	355818.00	14631.00	0.00	6532150.00
მიღებულია 2021წლის საანგარიშო პერიოდში	3694485.00	0.00	0.00	25865.00	3720350.00
გასულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დარიცხული ცვეთა 2021 წელს	333149.00	69423.00	2195.00	0.00	404767.00
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	9523037.00	286395.00	12436.00	25865.00	9847733.00
მიღებულია 2022წლის საანგარიშო პერიოდში	783459.00	76030.00	0.00	321179.00	1180668.00
გასულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
დარიცხული ცვეთა 2022 წელს	507035.00	54798.00	1865.00		563698.00
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	9799461.00	307627.00	10571.00	347044.00	10464703.00

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები ლარში	2924	31451
ფულადი სახსრები დოლარში	1295	457
სულ ფულადი სახსრები	4219	31908

სადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეწყვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქალაქებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

ლარი	საბალანსო ღირებულება 31-12-2022	საბალანსო ღირებულება 31-12-21
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	237076	131572
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	4219	31908
	241295	163480

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიის“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება 31-12-2022	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	769278	833604

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

კომპანიამ მოიპოვა გრანტი პროგრამა-„აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი. გრანტის ასათვისებელი თანხის ოდენობა შეადგენს 32407 ლარს.

14. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის (Covid-19)-ის გავრცელება საქართველოში დაწყებული 2020 წლის დასაწყისიდან და დღევანდელი პერიოდისთვის მისი გავრცელებით გამოწვეული შედეგები საკმაოდ რთულია ჩვენი ქვეყნისთვის. კომპანიის მენეჯმენტმა საკმაოდ ოპერატიულად გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები იმისთვის, რომ ახალი კორონავირუსის (Covid-19)-ის უარყოფითი ზეგავლენა ბიზნესზე მაქსიმალურად შეემცირებინა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ქვეყანაში დაეწესებინა გარკვეული შეზღუდვები. მენეჯმენტი თვლის, რომ შეძლო გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რამაც არ შეაფერხა კომპანიის მუშაობა. პანდემიის გავრცელებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის დაგეგმილ შემოსავლებზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 11 სექტემბერს.